ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 2

ქ. ონი 21 თებერვალი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 11 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდა : ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მისაღებია.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, სოციალური სფეროს საკითხების დაფინანსება მოხდეს ბიუჯეტიდან და ამისთვის არ იქნეს გამოყენებული სარეზერვო ფონდი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე